შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ დღვანის საჯარო სკოლის
სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი N1

სოფელი დღვანი.

12 აგვისტო 2020 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: გულნაზი ფუტკარაძე;

წევრები: გენადი ფუტკარაძე და მურადი ფუტკარაძე.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ჯემალ ფუტკარაძე.

დღის წესრიგი: შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ დღვანის საჯარო სკოლის გარე ტერიტორიის (რკინის ღობის) კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის, აუქციონის გარეშე გამოცხადება და სატენდერო პირობების დამტკიცება.

(მომხსენებელი: კომისიის წევრი გენადი ფუტკარაძე)

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის წევრის გენადი ფუტკარაძის ინფორმაცია ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე გამოცხადების თაობაზე, რომელმაც აღნიშნა, რომ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ დღვანის საჯარო სკოლის გარე ტერიტორიის (რკინის ღობის) **კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით** შედგენილია საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც მშენებლობის სავარაუდო ღირებულება განსაზღვრულია 19985 (ცხრამმეტიათას ცხრაასოთხმოცდახუთი) ლარი, დღგს ჩათვლით .

კომისიის თავმჯდომარის მიერ აღინიშნა, რომ ვინაიდან შესყიდვის სავარაუდო ღირებულება მცირეა უმჯობესია ტენდერი გამოცხადდეს დღგ-ს გარეშე 16937(თექსმეტიათას ცხრაასოცდაჩვიდმეტ) ლარზე, ხოლო დღგ-ს დამატება მოხდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კომისიამ იმსჯელა სატენდერო პირობების შესახებ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად კენჭი ეყარა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ დღვანის საჯარო სკოლის **გარე ტერიტორიის (რკინის ღობის) კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით** ელექტრონული

აუქციონის გარეშე სატენდერო პირობების დამტკიცების საკითხს, ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებული სატენდერო პირობების მიხედვით შევსებული კითხვარის შესაბამისად.

კომისიამ ერთხმად დაადგინა:

1. **დამტკიცდეს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ დღვანის საჯარო სკოლის გარე ტერიტორიის (რკინის ღობის) კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით** ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე სატენდერო პირობები, ელექტრონულ სისტემაში განთავსებული პირობების შესაბამისად და გამოცხადდეს ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს აღნიშნული ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში ატვირთვა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

სატენდერო კომისიის წევრები:

კომისიისთავმჯდომარე: /გულნაზ ფუტკარაძე/

წევრები: /გენადი ფუტკარაძე/

წევრები: / მურადი ფუტკარაძე/

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: /ჯემალ ფუტკარაძე/